საგარეო ვაჭრობა - I კვარტალი, 2016

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #70/ 22.04.2016

2016 წლის I კვარტალის მდგომარეობით:

- საქონლის რეგისტრირებულმა სავაჭრო ბრუნვამ 2 146 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, 79.4% - იმპორტი, ხოლო 20.6% ექსპორტია.
- საგარეო ვაჭრობის სალდო 2.5%-ით გაუმჯობესდა. ამასთან, ექსპორტი 11.9%-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი - 5.1%-ით.
- საქართველოდან ექსპორტირებული სამი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფია: სპილენძის მადნები (19%), მსუბუქი ავტომობილები (8.5%) და თხილი (7.4%), ხოლო ქვეყანაში იმპორტირებული სასაქონლო ჯგუფების პირველი სამეული შემდეგია: სამკურნალო საშუალებები (15.8%), ნავთობის აირები (7.3%) და მსუბუქი ავტომობილები (5.8%).
- ექსპორტში უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი სამეულია: თურქეთი (12.4%), ჩინეთი (12.3%) და რუსეთი (9.6%), ხოლო იმპორტში: თურქეთი (17.4%), ირლანდია (12.3%) და რუსეთი (8.6%).

ექსპორტი, იმპორტი და საგარეო ვაჭრობის სალდო, 2013–16



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წლის I კვარტალში, საქონლის რეგისტრირებული სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 6.6%-ით არის შემცირებული წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 2 146 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

ამ პერიოდში, 2015 წლის I კვარტალთან შედარებით, შემცირებულია როგორც საქონლის რეგისტრირებული ექპორტი (-11.9%), ასევე იმპორტი (-5.1%)*. იქედან გამომდინარე, რომ იმპორტის მოცულობა (-92 მლნ. აშშ დოლარი) ექსპორტის მოცულობაზე (-60 მლნ. აშშ დოლარი) მეტად არის შემცირებული, გაუმჯობესებულია სავაჭრო სალდოც (2.5%).

* აღნიშნული მაჩვენებელი მოიცავს C ჰეპატიტის წამლებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ირლანდიისგან საჩუქრად გადაეცა. თუ მათ (208.1 მლნ. აშშ დოლარი) არ გავითვალისწინებთ, მაშინ, აღნიშნულ პერიოდში, იმპორტის მოცულობა 1 495 მლნ. აშშ დოლარია, რაც 16.7%-ით ჩამოუვარდება 2015 წლის I კვარტლის მაჩვენებელს. შესაბამისად, სავაჭრო ბალანსი 240.5 მლნ. აშშ დოლარით (18.6%-ით) არის გაუმჯობესებული.

2016 წლის I კვარტალში, საქართველოდან ექსპორტირებული ხუთი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფია: სპილენძის მადნები (19%), მსუბუქი ავტომობილები (8.5%), თხილი (7.4%), ფეროშენადნობები (6.1%) და აზოტოვანი სასუქები (5.3%).

სპილენძის მადნები ძირითადად ექსპორტირდება ბულგარეთში, ჩინეთში და ესპანეთში; მსუბუქი ავტომობილები - აზერბაიჯანში, სომხეთში, შვეიცარიასა და არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში; თხილი - იტალიაში, გერმანიასა და ესპანეთში; ფეროშენადნობები - აშშ-ში, რუსეთში, უკრაინასა და კანადაში; აზოტოვანი სასუქები - პოლონეთში, ბულგარეთში, ინდოეთსა და რუმინეთში.

2016 წლის I კვარტალში, ქვეყანაში იმპორტირებული ხუთი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფია: სამკურნალო საშუალებები (15.8%)*, ნავთობის აირები (7.3%), მსუბუქი ავტომობილები (5.8%), ნავთობი (5.5%) და სპილენძის მადანი (4.6%).

სამკურნალო საშუალებები იმპორტირდება ძირითადად ირლანდიიდან, თურქეთიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან; ნავთობის აირები - აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან; მსუბუქი ავტომობილები - გემანიიდან, იაპონიიდან და აშშ-დან, ნავთობი - რუმინეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბულგარეთიდან და თურქმენეთიდან; სპილენძის მადანი - სომხეთიდან, ბრაზილიიდან, პორტუგალიიდან და აზერბაიჯანიდან.

* აღნიშნული მაჩვენებელი მოიცავს საქართველოსთვის საჩუქრად გადაცემულ C ჰეპატიტის წამლებს (208.1 მლნ. აშშ დოლარი), რომელთა გამოკლებით სამკურნალო საშუალებების წილი იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებში 3% იქნება.

ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2014–16



იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2014–16



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წლის I კვარტალში, ექსპორტში საქართველოს ხუთი უმსხვილესი პარტნიორი ქვეყანაა: თურქეთი (12.4%), ჩინეთი (12.3%), რუსეთი (9.6%), ბულგარეთი (8.8%) და სომხეთი (7.1%). ამ პერიოდში, 2015 წლის I კვარტალთან შედარებით, მნიშვნელოვად გაიზარდა ექსპორტი თურქეთში (22.5%), ჩინეთში (105.2%) და რუსეთში (41.6%), ხოლო შემცირდა ბულგარეთსა (-31.2%) და სომხეთში (-15.2%).

თურქეთში ექსპორტირდება ძირითადად: ნაქსოვი მაისურები, აზოტოვანი სასუქები, თევზი, ფქვილი, ნახშირბადიანი ფოლადისგან დამზადებული წნელები და სამკურნალო საშუალებები.

ჩინეთში ექსპორტირდება: სპილენძის მადნები, სპილენძის ნარჩენები და ჯართი, ყურძნის ნატურალური ღვინოები, სპირტიანი სასმელები და სატელეფონო აპარატები.

რუსეთში ექსპორტირდება: ყურძნის ნატურალური ღვინოები, მინერალური წყლები, ფეროშენადნობები, სპირტიანი სასმელები, თხილი და მსუბუქი ავტომობილები.

ბულგარეთში ექსპორტირდება: სპილენძის მადნები, ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები, სასუქები და ფეროშენადნობები.

სომხეთში ექსპორტირდება: მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, სპირტიანი სასმელები, კოპტონი, სასუქები, სიმინდი, სამკურნალო საშუალებები და ელექტროენერგია.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წლის I კვარტალში, იმპორტში საქართველოს ხუთი უმსხვილესი პარტნიორი ქვეყანაა: თურქეთი (17.4%), ირლანდია (12.3%)*, რუსეთი (8.6%), აზერბაიჯანი (8.4%) და ჩინეთი (7%).

ამ პერიოდში, გაიზარდა იმპორტი ირლანდიიდან (125-ჯერ) და რუსეთიდან (2.6%), ხოლო შემცირდა ჩინეთიდან (-29.1%), თურქეთიდან (-8.8%) და აზერბაიჯანიდან, წინა წლის I კვარტალთან შედარებით.

თურქეთიდან იმპორტირებულია ძირითადად: შავი ლითონებისგან დამზადებული მეტალოკონსტრუქციები, სამკურნალო საშუალებები, ძრავები, მილები და მავთულები, სარეცხი და საწმენდი საშუალებები;

ირლანდიიდან - სამკურნალო საშუალებები, გამომთვლელი მანქანები, სასმელის წარმოებაში გამოსაყენებელი სხვადასხვა ნარევები, რძე და ნაღები, ეთილის სპირტი;

რუსეთიდან - ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ნავთობის აირები, ელექტროენერგია, სიგარეტები, შოკოლადი, ზეთი და სამკურნალო საშუალებები;

აზერბაიჯანიდან - ნავთობის აირები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, თაბაშირი, ელექტროენერგია, პულტები, მარგარინი, ჩაი და ზეთი;

ჩინეთიდან - გამომთვლელი მანქანები, მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისგან, სატელეფონო აპარატები, მაცივრები და საყინულე მოწყობილობები, რეზინის სალტეები და საბურავები.

---

* აღნიშნული მაჩვენებელი მოიცავს C ჰეპატიტის წამლებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი (208.1 მლნ. აშშ დოლარი) საქართველოს ირლანდიისგან საჩუქრად გადაეცა. მათი გამოკლებით, ირლანდიის წილი იმპორტიორ ქვეყნებში 0.1%-ს შეადგენს.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	2014	I 2015	II 2015	III 2015	IV 2015	2015
ნომინალური მშპ (მლნ. აშშ დოლარი)	15846.8	16139.9	16528.5	3325.0*	3407.6*	3545.0*		
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3523.4	3599.6	3680.8	884.5*	913.4*	950.5*		
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	4.8%	3.2%*	2.5%*	2.5%*	2.9%*	2.8%*
ინფლაცია	-0.9%	-0.5%	3.1%					4.0%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი)	911.6	941.9	1 758.4	175.3*	354.7*	489.0*	267.9*	1 351.1
უმუშევრობის დონე	15%	14.6%	12.4%					
საგარეო ვალი (მლნ. აშშ დოლარი)	4739	4202	4200	3989	4181	4195	4315	4315
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	22.4%	21.4%	21.4%					

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://comtrade.un.org/data/ საპროგნოზო*
საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო